№ 114

ოთხშაბათი, 30 მაისი, 1901 წ.

1877—1901

# ივერია

№ 114

ოთხშაბათი, 30 მაისს, 1901 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად**

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.

**ფასი განცხადებისა:**

ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

**საათიაქო საქონლით მოვაჭრე**

ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

## დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა, სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

**ამხანაგობის განყოფილება სასახლის ქუჩაზე, დ. ზ. სარაჯიშვილის სახლში.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т—во Фармацевтовъ—провизору Алхазову.

(100—43—33)

ტელეგრამების ადრესი: Тифлисъ „Фармацевтика“

ტელეფონი № 741.

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა,

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა; სახლი სვგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილით:**

გ. ი. **ჯიჯიაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. **მუდინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. **ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ა. მ. **მატინოვი**—თვალის 11—12 საათ.

**ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე**—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. **გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. გ. **ფედოროვი**. შინაგან და ბავშვებისა—1—2 ს.

გ. დ. **მარჯანიშვილი**—საქირურგო—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. **ბეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 ს.

**საღამოთი:**

ი. ნ. **თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. **ბელოგოლოვი**—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 საათ.

**კვირაობით:**

გ. გ. **მაღალაშვილი**—10 - 12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

ბ. ა. **ნავასარდიანი**. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. **ჩიქოვანი**. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. **ბაბანასიანცი**—დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. **გელიშვილი**. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. **კარაპეტიანცი**. 1—$1^1/_2$ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

ნ. ნ. **როსტომბეკოვი**. 6—7 ს. საქირურგო და კანისა.

გ. ა. **თარხნოვი**. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს. და აუცრის ყვავილს კვირაობით 9—10 ს.

ბ. ა. **ნავასარდიანი**. $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ლ. ტ. **არზანიტაკი**. 11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра
**Навасардіана.**
Тифлисъ, противъ памят. Воронцову.

**პ ა ნ ს ი ო ნ ი**

## ტერ-სტეფანოვისა

10 ივნისს საგარაკოდ მიდის, მოსწავლეებს ამ თავად იღებენ. მიხეილის ქუჩა, სახლი № 101.

(3—132—3)

# ახალი ამბავი

*** კავკასიაში უმაღლესს სპეციალურ სასწავლებლის დაარსების შესახებ მოხსენება სახელმწიფო საბჭოში, როგორც გაზეთ „არგონავტს“ ატყობინებენ, შემოდგომაზედ იქმნება შეტანილი. აზრადა აქვთ ამ უმაღლეს სასწავლებელში დააარსონ განსაკუთრებული განყოფილება სასოფლო-მეურნეობისა და მეღვინეობისა.

*** როგორც სახალხო კითხვათა კომისიის კრებაზედ განსახილველად წარდგენილ ქართულ სექციის ანგარიშიდგანა სჩანს, სეზონის განმავლობაში სექციის გაუმართავს 28 წარმოდგენა; ამათგან 9 პიესა ყოფილა ახალი, 4 ორჯერ გაუმეორებიათ. წარმოდგენებიდან შემოსავალი 522 მან. 40 კაპ. ყოფილა. ბ ნ ვ. ალექსი-მესხიშვილს შეუწირავს 100 მან., ქართულ დრამატიულ საზოგადოებას 80 მან.; თავ. ე. ქობულაშვილს 40 მ. 38 კაპ. სულ მთელი შემოსავალი ყოფილა 742 მან. 78 კაპ., ხარჯი ჰქონია სულ 642 მან. 78 კაპ.; დარჩენილი 100 მან. გარდაეცა სახალხო წარმოდგენათა და კითხვათა კომისიას.

*** ტფილისის საგუბერნიო მთავრობას შუამდგომლობა აღუძრავს კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე კალიის ამოსაჟლეტად დამატებითის თანხის გადადების შესახებ.

*** ტფილისის ქალაქის სამხედრო საკრებულოს წარუდგენია ტფილისის გუბერნატორისათვის სია იმ ყმაწვილ კაცთა, რომელნიც დაიბადნენ 1879 წლის 1 ოქტომბრიდგან 1880 წლის 1 ოქტომბრამდე და რომელნიც ჯარში გასაყვანნი არიან ამა მიმდინარე წლის ოქტომბერში. ამ სიაში შეტანილია 651 კაცი.

*** ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოებას უარი განუცხადებია ავჭალის ცხენის რკი-

# ფელეტონი

## წერილები ინგლისიდგან

(წერილი მე-XXVI *)

ახალი პროექტი საელემენტარო განათლების კანონისა.—სამოსწავლო საბჭოებში საარჩევნო წესის გაუქმება.—დუმილი საშუალო სატეხნიკო განათლების შესახებ.—კიდევ ეკონომიურად დაქვეითების შესახებ.

როდესაც გამოქვეყნებულ იქმნა სასამართლოს გარდაწყვეტილება იმის შესახებ, რომ საელემენტარო სკოლისათვის გადადებული ფული და, მაშასადამე, ამ სკოლათა შენობანიც არ შეიძლება საღამოს კლასებსა ან სხვა რომელსამე სპეციალურ კურსებს მოჰხმარდეს, ხალხის უმრავლესობას პირველ ხანს ვერც-კი წარმოედგინა, რომ ეს გადაწყვეტილება, დღეს მიღებულ სისტემით, ფაქტიურად განათლებას უსპობდა და უვიცობას უმზადებდა ინგლისისა, ვალისისა და ირლანდიის 35 მილიონ მცხოვრებთ (შოტლანდიაში საკუთარი სისტემაა განათლებისა).

მაგრამ ორი კვირაც არ გასულა განაჩენის გამოქვეყნების შემდეგ, რომ ყველასათვის აშკარა შეიქმნა, ეხლავე, შემოდგომამდე გამოცემულ უნდა იქმნას ახალი კანონი საშუალო სახალხო განათლების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში ყველა დიდმა ქალაქმა უნდა დახუროს და გააუქმოს საღამოს კლასები და სატეხნიკო კურსები. ყველგან პირველნიცა და მეორენიც იმართებოდა საელემენტარო სკოლებთან, რომელთა შენობაც-კი ისეა გამართული, რომ იქ იმართება კურსები მოზრდილთათვის. ლივერპულმა, მანჩესტერმა, ლიდსმა და სხვა ქალაქებმა გამოუცხადეს მთავრობას, რომ თუ სასამართლოს გარდაწყვეტილება გაუქმებული არ იქმნება, ან არ იქმნა გამოცემული ახალი კანონი სახალხო განათლებისა, იძულებული ვართ დავხუროთ ქალთათვის გამართული მეოჯახობის სკოლები (სამრეცხაოები, სამზარეულოები, ხელსაქმე) და კურსები მოზრდილ მამაკაცთა და მოზრდილთათვისაო.

ყველაზედ მეტად ხმა აიმაღლა ლონდონმა. აღმოჩნდა, რომ ძალიან მდიდართა გარდა, ამ უზარმაზარ ქალაქის თითქმის ყველა მცხოვრები საღამოსა და სპეციალურ კურსებით სარგებლობდა. თვით პოლიციამაც-კი ხმა ამოიღო და შიშით შეხედა ამ საქმეს, ვინაიდგან რამდენიმე ასი პოლიციელი დაიარებოდა საზოგადო განათლების საღამოს კურსებზედ. მაგრამ სალისბიურის რეაქციონური სამინისტრო არაფრად აგდებდა ამას და ყურადღებას არ აქცევდა ხუთ მილიონიან ლონდონის თხოვნა-სურვილს. ან-კი რად მიაქცევდა, როდესაც მთლად ეს გალაშქრება სასკოლო საბჭოების წინააღმდეგაა მიმართული, უმთავრესად სატახტო ქალაქის მიმართ.

საქმე ისაა, რომ ლონდონი (სიტის გარდა) სამუნიციპალო და სასკოლო საბჭოებში კარგა ხანია უკვე პროგრესიულ და რადიკალურ უმრავლესობასა ჰგზავნის. რამდენს არა სცდილობენ სამინისტრო, კლერიკალები და კონსერვატორები, მაგრამ სატახტო ქალაქის სკოლების ხელთ ჩაგდება მაინც ვერ შესძლეს და მოახერხეს. პირდაპირ გალაშქრებას-კი სასკოლო საბჭოების საქმეში საარჩევანო უფლების წინააღმდეგ სამინისტრო ვერა ჰბედავს: ეშინიან ლონდონმა საპოლიტიკო არჩევნების დროსაც რადიკალებისა და პროგრესისტების მხარი არ დაიჭიროს.

ეხლა თავის თავად მოევლინათ დიდის ხნის სანატრელი შემთხვევა— ბოლოს მოუღონ საარჩევანო დემოკრატიულ და რადიკალურ სასკოლო საბჭოებს. შეშფოთებულ საზოგადოებასა და სალიბერალო უმცირესობას პარლამენტში სამინისტრომ შემდეგი დილემა დაუყენა: ან მიიღონ უცვლელად იმისი ახალი სასკოლო კანონი, აწ კიდევ დასტოვონ აწ არსებული სისტემა და იმასთან ერთად სასამართლოს გადაწყვეტილება საღამოს კლასებისა და სპეციალურ კურსების გაუქმების შესახებ.

მერე არ იკითხავთ, რას უქადის ინგლისს ახალი კანონ-პროექტი? ქალაქისა და საკომუნალო საბჭოებს, აგრეთვე სამინისტროს ორგანოებს ნება ეძლევათ გამართონ საელემენტარო სკოლებში დამატებითი სპეციალური კურსები და კლასები; გამართონ, ამასთან ზოგან მთავრობის დახმარებით (ფულით), საელემენტარო სატეხნიკო სკოლები. მაგრამ დღევანდელ ხალხის მიერ არჩეულ სასკოლო საბჭოების ნაცვლად დაწესებულ იქმნება კომიტეტები, ადმინისტრაციის წარმომადგენელთა და ქალაქისა და საკომუნალო საბჭოების დელეგატთაგან შემდგმრი. ამ რიგად სახალხო განათლების საქმის დღევანდელ გაჭირვებულ მდგომარეობის გადაწყვეტას მთავრობა ჰფიქრობს საარჩევნო და სადემოკრატო საფუძველზედ დამყარებულს სასკოლო საბჭოების გაუქმებით.

მაგრამ განა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელმაც ეს გაჭირვება დაჰბადა სასკოლო საქმეში, ჰკიცხავდა სასკოლო საბჭოებსა და საარჩევნო უფლებას? და განა თვით საზოგადოება თხოულობდა ახალს კანონს ამ საჭიროების წინააღმდეგ, ან იმ განაჩენის წინააღმდეგ, რომელიც ინგლისს უვიცობას უქადის?— რასაკვირველია, საზოგადოება რამე საშვალებასა თხოულობდა იმ გაჭირვებულ მდგომარეობის წინააღმდეგაც, რომელიც განაჩენმა დაჰბადა; საჭირო იყო კანონის დამქცევი და გამანადგურებელი კი არა, არამედ დამამკვიდრებელი და განმატკიცებელი საბჭოთა მიერ დიდის ხნის მეცადინეობით შექმნილ კურსებისა. რა მიზეზია, რომ დაბალ ღობედ სწორედ ეს საბჭოები გადაიქცნენ?

პასუხი აშკარაა: კლერიკალები, რეაქციონერები და მათი მეგობრები მთავრობის წრეებში, ე. ი. სალის-

*) იხ. „ივერია“, № 111.

ნის გზის გამოსყიდვაზედ, რისთვისაც ამ გზის კონცესიონერნი ყორღანოვი და ალიბეგოვი უჩივიან უსახელო საზოგადოებას პირობის ძალით 200,000 მან.

*** კავკასიის უმაღლეს მთავრობის შუამდგომლობა ამიერ-კავკასიაში კეთროვნებით ავადმყოფთათვის თავშესაფარის დაარსების შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს შეუწყნარებია, მხოლოდ დაუვალებია კავკასიის სამკურნალო გამგეობისათვის გაუგზავნოს დამატებითი ცნობები ამ საქმის შესახებ.

*** როგორც მკითხველებმა უწყიან, ამ უკანასკნელ ხანებში მთავრობამ ყურადღება მიაქცია ტფილისის გუბერნიაში მიწის გამოსასყიდ დარჩენილ გარდასახადის მოკრეფის საქმეს. წინად ეს გარდასახადი თვითეულს კომლს ცალკე შეჰქონდა, 1897 წლიდგან ტფილისის სახაზინო პალატამ გაუგზავნა სოფლის საზოგადოებებს გარდასახადის გაწერის ფურცლები და ამ საზოგადოებათ დაევალათ თვითეულ კომლზედ გაწერილ ფულის შემოტანა; ცალკე კომლებზე დარჩენილი გარდასახადი მთელ საზოგადოებას აწვებოდა კისერზე, რადგანაც ყურადღებას არ აქცევდნენ იმას, რომელმა გლეხმა შეიტანა გარდასახადი და რომელმა არა. გარდა ამისა სოფლის ხარჯთამკრებნი რიგიანად ვერ ასრულებდნენ თავიანთ თანამდებობას, რის გამო გლეხებმა არ უწყოდნენ იმათი ფული სად მიდიოდა. 1897 წლიდგან სახაზინო პალატამ სხვა წესი შემოიღო და დაუგზავნა სოფლებს ფურცლები, რომლებშიაც აღნიშნული იყო თვითეულ გლეხის გარდასახადის რაოდენობა, და თვითეულს კომლს, ვინც შემოიტანდა, ცალკე კვიტანციას აძლევდა. ამასთან პალატამ შეადგინა სია მხოლოდ გლეხთა კომლების უფროს წევრთა, ხოლო შემდეგ კომლის წევრნი გაიყვნენ და თითო წევრს ფული ცალკე უნდა გარდაეხადა. ამ რიგად ახალმა წესმა თუმცა ცოტაოდნად მოარიგა საქმე, მაგრამ სავსებით მაინც ვერ გამოაწყო.

(„ახ. მიმ.")

*** „Бирж. Вѣд." გვაუწყებს, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზები 20-ს მაისიდამ შერიცხულ არიან იმ გზათა შორის, რომელნიც საერთაშორისო კონვენციას ექვემდებარებიან საქონლის გადატან-გადმოტანის საქმეში.

*** იგივე გაზეთი სწერს, რომ წარმომადგენელნი საფრანგეთის კაპიტალისტის როდშილდისა წავიდნენ კავკასიაშიო, სადაც განუზრახავთ შექმნან ახალი დიდი საქმე ნავთის წარმოებისაო.

*** ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში ეგზამენები 5 ივნისს დასრულდება და მეორე დღეს, 6 ივნისს, მოსწავლე ქალებს საზაფხულოდ დაითხოვენ. სასწავლებელში დარჩენილ მოსწავლეებს კოჯორში გაჰგზავნიან სააგარაკოდ.

*** როგორც გაზ. „არგონ." პეტერბურგიდგან ატყობინებენ, კავკასიის წყალთა ინსპექტორს წარუდგენია მიწად-მოქმედების სამინისტროსათვის მუღანის მინდვრის მორწყვის პროექტი. ამ პროექტის განსახილველად პეტერბურგში მიწვეულია თვით წყალთა ინსპექტორი ბ-ნი პეტროვი.

*** 17 ივნისს, გომის სადგურში გორის მაზრის მემამულეთა სინდიკატის წევრთა კრება მოხდება სინდიკატის თანხის გადიდების შესახებ მოსალაპარაკებლად.

*** ალბულახი. კვირას, 27 მაისს, მდ. ხრამზე გამართულ ხიდის კურთხევა მოხდა. კურთხევას დაესწრნენ: ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ლ. ჯანდიერი, მრავალი აფიცრობა და სამი ათასამდე სოფლელი. თავ. ჯანდიერმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დიდი მადლობა გამოუცხადა ბოქაულს გუგუშვილს დაუღალავის შრომისათვის და თავ. გენო ქობულაშვილს, რომელმაც უსასყიდლოდ დაუთმო ხიდის ასაშენებლად ხის მასალა. ბოლოს ბოქაულმა გუგუშვილმა დამსწრეთ სადილი გაუმართა.

*** „წერილების დამტარებელთა" კანტორა ტფილისში ივნისს გაიხსნება სათავად-აზნაურო ქარვასლაში.

*** 27 მაისს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრთა კრება მოხდა. კრებამ დაამტკიცა კასის წლიური მოქმედების ანგარიში და აირჩია კასის გამგეობის თავმჯდომარედ ვ. ტვერდოხლებოვიჩი, წევრებად: ვ. ტერ-პეტროსოვი, ნ. ასლანოვი, რევიზორებად: ე. ბოჩარნიკოვი და ა. წინამძღვრიშვილი, ხოლო კასირად კ. პაული.

*** სოფ. თეკლათი (სენაკის მაზრა). 15 მაისამდე აქეთ წვიმიანი ამინდები იდგა, რის გამოც მუშა-კაცმა მარცვალი დროზედ ვერ დასთესა. შემდეგ კი ცამ პირი მოაწმინდა და ის იყო მხვნელ-მთესველი მუშაობას შეუდგა, რომ ამ დროს აღმოსავლეთის ღონიერი ქარი ამოვარდა და რამდენიმე დღე იგრიალა; ქარმა მიწა ძალზედ გაახმო და ხვნა-თესვა ისევ შეაფერხა. მას აქეთ საშინელი გვალვები და სიცხე-პაპანაქება სდგას. ამის გამო ჭირნახულის თესვა მთელს საზოგადოებაში დღესაც მოუთავებელია. აგერ სადაა მაისი გათავდება და წვიმები-კი არ მოდის. რაც ჯეჯილი თუ ბოსტნეულობაა ამოსული, მთლად ასწვა-ახრუკა. ერთი ღონიერი წვიმა სწორედ ციურ მანანასავით მოევლინება გამხმარს დედამიწას. მაგრამ სად არის?

წელს აქეთ აბრეშუმის მოსავალი წარსულ წლებთან შედარებით ნაკლებია. ამისი მიზეზი ხანგრძლივი სიცხეები და თუთის ფოთლის უვარგისობაა სიცხეების გამო.

## ქალაქის საბჭო.

28 მაისი.

სხდომა დაიწყო საღამოს 9 საათზედ. ქალაქის მდივნის ს. ჭრელაშვილის ავადმყოფობისა გამო მდივნის თანამდებობის აღმასრულებლად მოწვეულ იქმნა გამგეობის საქმის მწარმოებელი ვეიმანი. გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წაუკითხა საბჭოს გამგეობის დადგენილება, რომლითაც ქალაქის საზოგადო თანხიდგან გადადებულ იქმნა 10,000 მან. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის გასამართად და 5,000 მან. ამ გამოფენაზედ ქალაქის პავილიონის მოსაწყობად. საბჭომ შეიწყნარა ეს დადგენილება. გამგეობის წევრმა ხოსროევმა მოახსენა საბჭოს გამგეობის დადგენილება წმ. მაგდალინელის თავ-შესაფარის დაარსების შესახებ. ხმ. ანანოვმა განაცხადა, რომ ეს ფილანტროპიული დაწესებულება კერძო ინიციატივის საქმეა, განსაკუთრებით ქალებისა, და ქალაქმა თავისის ხარჯით რათ უნდა დააარსოსო. ამავე აზრისანი იყვნენ ზოგიერთნი ხმოსანნი. ხმ. ბალდასაროვმა სთქვა, რომ მრავალი ქალი და ბავშვი იღუპება ქალაქში, უფრო განაპირა უბნებში, გავრცელებულ გარყვნილებისაგან, არიან ისეთნი პირნიც, რომელთაც ხელობად გადაუქცევიათ ეს საზიზღარი საქმე; და ნუ თუ ქალაქს შეუძლიან გულ-გრილად უყუროს ამ უბედურობასაო? ბოლოს საბჭომ დაადგინა: სასურველია ეს საქმე კერძო კაცებმა ითავონ, ხოლო ქალაქი ქონებრივ შემწეობას აღმოუჩენსო. საბჭომ განიხილა აგრეთვე რამდენიმე წვრილი საქმე და მხედველობაში მიიღო საერო განათლების მინისტრის გარდაწყვეტილება, რომლითაც ქალაქის საბჭოს შუამდგომლობა მიხეილის სახელოსნო სასწავლებელში ადგილობრივ ენების განყოფილებათა რამოდენიმე ხნით დატოვების შესახებ არ იქმნა შეწყნარებული. სხდომა გათავდა 11 საათზედ.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ახალ-სენაკი.** აქ უკვე დაიწყეს აბრეშუმის პარკის ყიდვა. ჩვენმა „კულტუროსანმა" ბერძნებმა და მათმა აგენტებმა დიდი ხანია საზოგადოებაში ხმა გაავრცელეს, რომ წელს აბრეშუმის პარკის ფასები ერთობ დაცემულია, წარსულ წლებთან შედარებით, წელს თითქმის ნახევარი ფასი ექნება, რადგანაც საზღვარ-გარეთ ფასები დაცემულიაო. რამდენათ მართალია ეს, ღმერთმა უწყის, მაგრამ ეს-კი ცხადია, რომ რჩეული და პირველის ხარისხის ფუთი უმი პარკისა ჯერ-ჯერობით 8 მანეთს არ გასცილებია და ისიც როგორ? დიდის ხვეწნისა და მუდარის შემდეგ. არა გვგონია და ვეჭვობთ, რომ ფუთი პარკი დღეს 8 მანეთი იყოს, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ნათქვამია: „სოფელი ვნახე უძაღლო, შიგ გაიარე უსახროო"-ო, ჩვენში სწორედ ესე გახლავთ! არ იქნა და ჩვენში არ გამოჩნდა ისეთი ღვთისნიერი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს ოდნავ მაინც კონკურენცია გაუწიოს ამათ და მით ჩვენს გალატაკებულს საზოგადოებას ცოტა სარგებლობა მისცენ. მართალია, აქა-იქ ჩვენებურებიცა ყიდულობენ პარკსა, მაგრამ ესენიც თვალთ-მაქცობენ, მონები არიან ბერძნებისა. სწორეთ რომ სამწუხარო და სავალალო იქნება, თუ რომ მართლა ამ ფასებს არა მოუმატეს-რა, რასაც ჩვენი „კულტუროსნები" დღეს იძლევიან. მით უმეტეს, რომ უმრავლესობას ნაყიდი ბჟოლის (თუთა) ფოთლითა ჰყავს აბრეშუმის ჭია გამოკვებილი. კარგი იქნებოდა გარეშე ვინმე მოვიდოდეს აქა აბრეშუმის პარკის მყიდველი. იქნება იმათი მოსვლით ცოტათი მაინც აეწიათ ფასებს. ამასთანავე, კარგი იქნებოდა და სამადლო საქმეც, რომ აქაური ინტელიგენცია კვლავ, რასაკვირველია, ადმინისტრაციის დახმარებით, ხალხს ხელს მოუმართავდეს და საზოგადო სასწორს დაუდგამდეს, რომ საწყალი უვიცი სოფლელი ხალხი წონაში მაინც არ მოტყუვდეს.

ტელეფონი

## თეატრის მატიანე.

23 მაისს ახალ-სენაკელებს ქართველი საზოგადოების საყვარელი და ქართული სცენის დამამშვენებელი არტისტი ბ-ნი ვ. ალექსი-მესხიშვილი და ვ. გუნია გვეწვივნენ. ამათის გამგეობითა და ქ-ნის ნ. ჩხეიძისა და სხვათა მონაწილეობით

---

ბიურ-ბალფურ-ჩემბერლენის მთელი სამინისტრო კარგა ხანია საბაბს ეძებდა სახალხო განათლების საქმის საზოგადოების ხელიდგან გამოსაგლეჯად და ბიუროკრატიისთვის გადასაცემად. ეხლა მარჯვე შემთხვევა გამოჩნდა.—„ან ოპოზიციამ, ამბობენ ისინი, უნდა მიიღოს ჩვენი პროექტი საარჩევნო საბჭოების გაუქმებისა და მაშინ საზოგადოებას ძველებურად ექმნება დამატებითი კურსები და სატეხნიკო კლასები, ან არა და საზოგადოებას მარტო საელემენტარო სკოლები დარჩება, რადგანაც მომავალის წლის შემოდგომამდე და იანვრამდე ჩვენ ახალ კანონ-პროექტებს არ შევიტანთ პარლამენტშიო".

პატივი და სახელი ახალ გმირთა ლოგიკას... „ან ქისა მომეცი, ან სიცოცხლეს გამოესალმე", ეუბნებიან ზრდილად და თავაზიანად კალაბრიის ყაჩაღები მდიდარ მგზავრებს. „ან საარჩევნო სასკოლო საბჭოებს გამოესალმე, ან უსწავლელი დარჩიო!"—ეუბნება საზოგადოებას ასევე თავაზიანად სერ ჯონ გარსტის პირით სალისბიურ-ბალფურ-ჩემბერლენის სამინისტრო. როგორც მგზავრები სიცოცხლის გადასარჩენად ქისას აწვდიან ყაჩაღებს, ისე, უთუოდ, საზოგადოება გამოესალმება სასკოლო საბჭოებს, რათა საღამოს კლასები და სპეციალური კურსები მაინც შეინარჩუნოს.

ძნელია, მკითხველო, ამ შემთხვევაში საზოგადოების გამტყუნება. იგი თან და თან უფრო ნათლადა ჰგრძნობს ინგლისელთა ჩამორჩენას სატეხნიკო განათლებაში. წინა ფელეტონში მოყვანილი სიტყვები დეპუტატ-პედაგოგის მაკნარამისა, სიტყვები, ესოდენ სიმწარითა და ირონიით აღსავსე, იშვიათ მოვლენას როდი შეადგენს დღეს ინგლისში. არსებობს უკვე მთელი ლიტერატურა ინგლისის ინდუსტრიისა, მრეწველობისა და მიწად-მოქმედების დაქვეითების შესახებ. ამ დაქვეითებას ყველანი სკოლის ჩამორჩენისა, სატეხნიკო სწავლა-ცოდნის გაუვრცელებლობისა და ახალ ენების უცოდნელობის შედეგად სთვლიან. ამის შემდეგ გასაკვირველი არავისთვის უნდა იყოს, საზოგადოებამ რომ საარჩევნო უფლება გასწიროს სკოლისა და სატეხნიკო განათლების შესანარჩუნებლად! საზოგადოებამ შეიგნო, რომ მხოლოდ საყოველთაო და სატეხნიკო განათლებას შეუძლიან ინგლისის გადარჩენა დაცემისა და გადაგვარებისაგან. ვიმეორებ, ამ უკანასკნელ წლებში შექმნილ იქმნა მთელი ლიტერატურა, რომელიც არწმუნებს საზოგადოებას, რომ ინგლისს დაღუპვა მოელის უვიცობისა და ჩამორჩენისაგანაო.

ერთი ასეთი გამოკვლევა, რომელმაც სინამდვილითა და საბუთების სიმრავლით ყველას ყურადღება მიიქცია, დაიბეჭდა „Contemporary Review"-ის მაისის წიგნში ამ სათაურით: „ეკონომიურად დაქვეითება ინგლისისა".

მეტად სამწუხარო ფაქტებით ავტორი ამტკიცებს, რომ დღევანდელი ინგლისი გაცილებით იმაზედ ნაკლებ სახმარ საქონელს (предметы потребленія) ამზადებს, რაც თვითონა სჭირდება. პური და ხორცი კარგა ხანია დედამიწის ყველა კუთხიდგან შემოაქვთ ინგლისში; მწვანილი, ერბო, ყველი, კვერცხი, ხილი, ღვინო, ტანისამოსი, ქსოვილი—დანიიდგან, საფრანგეთიდგან, ბელგიიდგან, იტალიიდგან და სხვა ადგილებიდგან. იაფ-ფასიანი სამანუფაქტურო ნაწარმოები გერმანიიდგან, საფრანგეთიდგან და შეერთებულ შტატებიდგან მოდის. ამ რიგად ინგლისი სხვათა ნაწარმოებით სცხოვრობს. ეს მოვლენა კარგა ხანია ცნობილია და თვით მეც არა ერთხელ მქონია იმის შესახებ ლაპარაკი.

თუ ასეა, მაშ რით ყიდულობს ინგლისი საქონელს? საიდგანა აქვს შემოსავალი?—უმთავრესი შემოსავალი ინგლისს, რასაკვირველია, დედამიწის თითქმის ყველა კუთხეში მოთავსებულ თანხებიდგანა აქვს. ინგლისი კაცობრიობის ბანკირად და საფინანსო აგენტად გადაიქცა. 800 მილიონ მანეთზედ მეტ სარგებელს იღებს ინგლისი ყოველ წლივ დარიგებულ თანხებიდგან. მეორე წყარო შემოსავლისა—ზღვაოსნობაა. ინგლისი მთელის ქვეყნის საქონლის მზიდავი გადამტან-გადმომტანი სახელმწიფო გახდა. ოკეანეთა ყველა გემების ნახევარი ინგლისს ეკუთვნის. ზღვაოსნობის შემოსავალი თითქმის სჭარბობს კიდეც საბანკო შემოსავალს. დიდ ფულს იძენს ინგლისი ბანკირობითა და ზღვაოსნობით. მაგრამ ვერც პირველი და ვერც მეორე ვერა სწვრთვნის ერს, ვერ უნერგავს და უმტკიცებს ინიციატივისა და გამოგონება-აღმოჩენათა უნარს. ასეთი უნარი ვითარდება და ძლიერდება მწარმოებელ ქვეყნებში, სულ ერთია რა წარმოებსაც უნდა მისდევდნენ ეს ქვეყნები — სამექანიკო-ინდუსტრიალურს, თუ სამიწად-მოქმედოს. და აი ეხლა ნათლადა ვხედავთ, რომ გერმანიამ, შეერთებულმა შტატებმა და საფრანგეთმა *) გაუსწრეს ინგლისს ტეხნიკასა, აღმოჩენა-გამოკვლევასა და წარმოებაში. თუ რამდენად ჩამორჩა, საშუალო და უმაღლეს სატეხნიკო სკოლათა უქონლობის გამო, ინგლისის ტეხნიკა, მაგალითად, საფრანგეთისას, შემდეგი ფაქტიდგან შეუძლიან გაიგოს მკითხველმა. ერთი ფრანგი ინჟინერ-ტეხნიკოსი ათვალიერებდა ქარხნებს ინგლისის იმ ნაწილში, სადაც უფრო გავრცელებული მრეწველობა. ერთ საუკეთესო ქარხანაში არ უნდოდათ ეჩვენებინათ ამ ფრანგისათ

*) გასაოცარია განსაკუთრებით საფრანგეთიდგან ყოველ წლივ გატანილ ნაწარმოების რაოდენობა. მესამედი იმის სასოფლო-სამეურნეო ნაწარმოებისა ინგლისში მიდის.

წარმოდგენილ იქმნა: „ბედს ვერ წაუხვალ“, დრამა 4 მოქმედებათ ნასიძისა და „ორი მშიერი“, ვოდევ. 1 მოქმედ. (სიმღერით) № №; 24 მაისს ამავე დრამატიულმა დასმა (ნ. ჩხეიძის გარდა, რომელიც უქმივოთ შეიქმნა და ქუთაისს გაემგზავრა) თავ. შალვა დადიანის მონაწილეობით წარმოადგინა: „ცხოვრება“ დრ. 2 მოქმედებათ ვ. გუნიასი და „უკუღმართი ადაგი“ ვოდევ. 1 მოქმედ. ფ. მესხისა. დასასრულ არტისტება ბ-ნმა ურუშაძემ წაიკითხა კახურ-გურული სცენები, რომელმაც დამსწრე საზოგადოება დიდად ასიამოვნა. 25 მაისს ამავე დასმა ქ-ნის ეკატერინე მოსიძის თაოსნობით ახალ-სენაკის საზოგადო საკრებულო დარბაზში სამუდამო სცენის მოსაწყობათ წარმოადგინა: „ორი მშიერი“, 3 მოქმედ. ისტორიული დრამა გურულების ცხოვრებიდგან ვ. გუნიასი და საზოგადოების თხოვნით განმეორებით „ორი მშიერი“. როგორც მოსალოდნელი იყო ბ. ბ. ალექსი-მესხიშვილმა, ვ. გუნიამ, შ. დადიანმა და ქ.ქ. ნ. ჩხეიძემ, მდივანმა და ჩიქოვანმა მშვენივრად შეასრულეს თავიანთი როლები. სიმართლე და პატიოსნება ითხოვს ვსთქვათ, რომ დანარჩენი მოთამაშენიც დაუფასებელი და შეუდარებელნი იყვნენ თავიანთს როლებში. ერთის სიტყვით, სამმავე წარმოდგენამ ერთობ მშვენივრად ჩაიარა. დამსწრე საზოგადოება უზომოდ ნასიამოვნები დარჩა და მოთამაშენი არა ერთხელ და ორჯელ იქმნენ გამოწვეულნი ვაშა-ვაშას ძახილით. უკანასკნელს წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო. სწორედ დიდის მადლობის ღირსია ჩვენის დრამატიული დასის მოთავე ბ-ნი მესხიშვილი, რომ დაბა-სოფლად წარმოდგენების მართვა მოუსურვებია და მით საზოგადოებას საშუალებას აძლევს ჩვენის სცენის დღევანდელი ძალ-ღონე მივარდნილ ადგილების მცხოვრებთაც გააცნოს.

ტ. კალანდარიშვილი

## კასპიის ზღვის პირად ცხოვრება ცხვარ-მეცხვარისა და ცხვრის დოვლათა და მოშენება.

(დასასრული *)

მოწოვების შემდეგ ცხვარი ისევ ბალახზედ მიდის, ბატკანს-კი საბატკნეშივე შერეკამენ და კარებს მიუხურამენ. დედალს ცხვარს ბალახზედ შუადღემდე, ანუ საათის 2-დე აძოვებენ. შემდეგ-კი ამინდის მიხედვით, ან აყენებენ ფარეხში ან-და ბაკში; დილით, ამინდისავე მიხედვით. სითბოში—ინათებს თუ არა, გაუღებენ კარებს ბატკნებსა და ცხვარში გაურევენ და მოაწოვებენ; თუ ცივი ამინდია, —შუა დღემდე არ გამოუშვებენ ფარეხიდგან ცხვარსა. ახალ-მოგებული ბატკნები იმ დღისა და ღამისა სწრაფად არ გაირევა ადრეულებთან, ვიდრე ერთს დღე-ღამეს ცალკე არ ამყოფებენ, რადგანაც დედა-შვილთ ერთმანერთი უნდა გაიცნონ და შეაყვარონ, თორემ აძუღების ფიქრია. დღით მომგებს ცხვარში ვინც დადის, კარგად უნდა დაიხსოვოს მოგებული ბატკანი რომელს ცხვარს ეკუთვნის; ათას მომგებს ცხვარში უთველ დღე საძოვარზედ იგებს 30—50 სულს ბატკანს, სამი ანუ ოთხი მეცხვარე აგებინებს ცხვარსა, ალოკვინებს ლოპრსა, აწოვებს ბატკანს, შემდეგ ზურგზედ აკრამს ყაჯახს თავისისავე მატყლის ბაწრით, რომ ცხვარი საღამოზედ ადვილად იცნოს. ბინიდგან მიემგვლება ცხენით ანუ სახედრებით შუადღის დროს მობინავე, ჩაჯსხამს ბატკნებს ხურჯინებში, გადაჭკიდებს და მოუდის შინ ბინაზედ. შემდეგ სადამოს ხანს მეორედ კიდევ მიდის მობინავე და კიდევ მოჰყავს ხელ-ახლად მოგებული, გალოკვილი და მოწოვებული ბატკანი.

გაჭხედავთ ხელის გულივით გადაშლილს მწვანე მინდორს, სადაც ათასნაირად აყვავებულა სხვა-და-სხვა სუნნელოვანი ბალახ-ყვავილი; ამ ბალახებს შორის ცხვარისათვის მშვენიერი საჭმელია განსაკუთრებით ბუნებრივად ჩაკრკოვილი, ჩახუჭუჭებული ავშანი, წითელწვერა ანუ ხურხუმა; აქვე ავშანს მოჰყვის ყარღანი, რომელსაც ერთ ადლამდე სიმაღლე აქვს და კარგად დაპურებულ ყანასავით მოუსხამს კურკო; ამ ბალახებს ცხვარი ზედ აკვდება და გაჭირვების დროს, ნამეტნავად თოვლში, ძირიანად სჭამს. ყველა აქ ჩამოთვლილი ბალახები ქართულათ არის წოდებული და ქართული ცხვრისათვის არის საჭმელი და დიდად მარგებელიც, რადგანაც ამ ბალახებს სიმლაშეცა აქვს, მაგრამ თავრიჩანის ცხვარი (შლიონკა) არა სჭამს და რაც ჩვენს ცხვარსა ჭვნებს, იმათის ცხვარისათვის სასარგებლოა. ჩვენი ცხვარი ერიდება ჭაობ-ლერწმიანს და ჭყანტ ადგილებს, რადგანაც აქ პეპელი იცის, რომელიც ღვიძლში უცოცხლდება და ცხვარსა ჰკლავს; თავრიჩანის კუდა-გძელა შლიონკა-კი ძალიანა ხეირობს ამ ჩალაბალახზედ. როდესაც ამ ზემოდ დასახელებულის მლაშე ბალახებითა ძღება ცხვარი, რაც უნდა სიცივე იყოს, დურალი ძვირადა ჭვნებს, რადგანაც ამ მცენარეებს სიმლაშესთან სიმხურვალეცა აქვს და სპირტ-ნასვამივით არის ცხვარი გახურებული.

და აი, ამ მწვანე მინდორზედ, საცა გაიხედავთ, თოვლივით არის მოფენილი ცხვრის ფარა. ცხვრის ფარას წინ მწყემსები უტრიალებენ, წყნარად ატარებენ; მხოლოდ აქა-იქა უდგას თითო-ოროლა ცხვარი თავ-თავისს ახლად შობილს შვილებს, ლოკამენ, აწოვებენ და უმუყუნით ეალერსებიან. ჩემს ამხანაგს შია სეთურიძეს, სანამ მე შინიდგან სადოლოთ (14 თებერვალს) ჩავიდოდი ცხვარში, ისე გაეწრთვნა და გაეოსტატებინა თავისი ორი ძაღლი მელქა და ქედანა, რომ მწყემსზედ ნაკლებს სამსახურს ადარ უწევდნენ პატრონს. ამ ოთხ-ფეხს პირუტყვებს დამის ყარაულობისა და ერთგულებისა გარდა, ისიც შეეთვისებინათ, რომ სადაც ცხვრებს ბატკნებს მოაგებინებდნენ და დაჭერიდნენ, უბრძანებდნენ ერთგულს პირუტყვს-მოსამსახურებს: აქ იყავითო! და იმ ადგილსა და იმ საქონელს არც ერთი იმათგანი არ მოჰშორდებოდა; ათს, ოცს ცხვარ-ბატკანს ერთად შეაქუჩებდნენ ცხვარს კი დევ თეოს მოაკრევინებდნენ, მანძილს გაუშვებდნენ და ის მელქა და ქედანა დაცვინულს თავ-თავისს ჯგუფს ისე იცავდნენ, რომ არა თუ მხეცი და ადამიანი არ მიუშვიან, არამედ ყვავი და ყორანი ანუ შროშნებიც-კი არ მიაკარიან ცხვრის მარჯვეს, რადგანაც ბატკანსა და ბატკნის ბუდეს ეტანება ყოველთვის ფრინველი. საზოგადოდ, აქეთ ნადირი (მგელი) ძრიელ ბევრი იცის და დოლში ხომ ძალიან იგეშება და ხალისდება. მაგრამ ეს ჩვენი ერთგული მოსამსახურე ძაღლები არამც თუ ნადირს არ უშვებდნენ ახლოს, დილით-საღამომდის ფრინველებს სდევნიდნენ და ცხვარ-ბატკნებს ახლოს არ აკარებდნენ. საკვირველად არჩევდნენ თავისის აზრით ცხვარ-ბატკანსა და ატყობინებდნენ, რომ პატარა ბატკანი უფრო ადვილად ხდება მსხვერპლი ფრინველისა, ვიდრე დიდი ცხვარი. ამიტომაც მელქა და ქედანა თავ-დადებით იცავდნენ ბატკნიანებს და არა უბატკნო ცხვრებს.

საზოგადოდ წელს აქეთ ცხვრისათვის კარგი ამინდებია, თუ ამას იქით არა აგვიტუდა-რა და არ დაგვღუპა .. ჩვენი ერთად-ერთი ჭირი და ვარამი ის არის, მხოლოდ, რომ ცხვარს ხარჯი დღითიდღე ემატება და მატყლს-კი ფასი თანდათან აკლდება. არ იქნა და არა, ჩარჩების გაუმაძღარი თვალი და ხელი თავიდგან ვერ ავიცდინეთ და ჩვენს მატყლს რიგიანი ბაზარი ვერ მოუპოვეთ. 3 მანეთიდგან 4 მანეთს ზევით მატყლის ფასი არ ადის და იმასაც როგორა სწონენ, მარტო ალლაჰმა უწყის, რადგანაც ზოგიერთს ვაჭრებს ქვები აქვთ გამოწონილი და დანუმრული გირების მაგიერად.

კალმის-წვერა

*) იხ. „ივერია“ № 113.

## უცხოეთი

**ინგლის-ტრანსვაალის ომი** ჰოლანდიური გაზ. „Nicuwe Rotterdamsche Courant“ შემდეგს დაწვრილებითს ამბავს მოგვითხრობს ბოტასა და კიტჩენერს შორის ამ წინაზედ მომხდარ მოლაპარაკების შესახებ. (აქ მოთხრობილი ამბავი სარწმუნოთ უნდა ჩაითვალოს, რადგანაც თვით ბოტასაგან თურმე შემოწმებული):

„ქ-ნმა ბოტამ სთხოვა კიტჩენერს, რომ ნება დაერთო და ფულის საქმის შესახებ ქმარს პირადად მოჰლაპარაკებოდა. ინგლისელები დაჰპირდნენ ნებართვას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ აღუთქვამდა და ქმარს იარაღის დაყრას ურჩევდა. ქ-ნმა ბოტამ ინგლისელების ასეთი პირობა უარ-ჰყო და შეუთვალა, რომ ქმარს უთუოდ ინახულებდა, თუნდაც კიტჩენერს ნება არ დაერთო. ქ-ნის ბოტას ასეთმა პასუხმა კიტჩენერის ყურამდე მიაღწია; მაშინვე ერთი თავისი ოფიცერი გაუგზავნა, პოდიში მოიხადა და საგზაო მოწმობაც გაატანა; თან სთხოვდა ქ-ნს ბოტას, რომ ღუი ბოტას კიტჩენერი როგორმე ენახულნა. ქ-ნი ბოტა მაშინვე ტანტესბერგში წავიდა, სადაც იმ ჟამად ბურების რესპუბლიკების შეერთებული მთავრობა იმყოფებოდა. აღმასრულებელმა კომიტეტმა გარდასწყვიტა ბოტას კიტჩენერი ენახულა და თან ჰხლებოდნენ პრეზიდენტის შალკ-ბურგერ-ვან-გელდენის მდივანი და სამხედრო მდივანი გენერალისიმუსის ბოტასი — დევეტი (გენერალი დევეტი არ გეგონოთ).

ბურებმა მტრის ბანაკში მისასვლელად საუკეთესო ცხენები ამოირჩიეს. მიდელბურგთან, სადაც კიტჩენერი და ბოტა ერთმანეთს უნდა შეჰყროდნენ, ბოტასა და მისს ამალას ინგლისელთა საპატიო მცველნი შეეგებნენ. ინგლისელთა მთავარ ბინასთან ბოტას თითონ კიტჩენერი მიეგება და პატივით შეიწვია ოთახში. ბოტამ მოითხოვა, რომ მოლაპარაკებას მოწმენი დასწრებოდნენ, მაგრამ კიტჩენერმა ამაზედ შენიშნა, რომ სულ მეტი და „უსარგებლოაო“. მაშინ ბოტამ თავისი მდივნები მიიწვია.

მოლაპარაკების დაწყებისთანავე განაცხადა ბოტამ, რომ თუ ინგლისელებს არა ჰსურთ სრული დამოუკიდებლობა მოგვანიჭონ, მაშინ მოლაპარაკება უოვლად შეუძლებელიაო. სრული უარი განაცხადა ბოტამ აგრეთვე მილნერთან მოლაპარაკებაზედ და შენიშნა, რომ სამხრეთ-აფრიკის უბედობის უმთავრესი მიზეზი მილნერიაო. შემდეგ ამისა ბოტა ინგლისელთა უადამიანობას შეეხო და გაჰკიცხა, რომ ბურების დედაკაცებსა და ბავშვებს უზომოდ სასტიკად ეპყრობოდნენ. კიტჩენერი დაჰპირდა უოველსავე ამას დაწვრილებით გამოვიძიებო, მაგრამ შენიშნა ამასთანავე, რომ „ომის დასრულება შეუძლებელია, თუ რომ დედაკაცები და ბავშვები ფერმებიდგან არ იქმნებიან განდევნილნი, რადგანაც თვითოეული ფერმა დღეს სამხედრო იარაღისა და სამზადისის საწყობათ არის გადაქცეულიო“. კიტჩენერი დაეკითხა აგრეთვე ბოტას, თუ რად მოეპყრო ისე ცუდად იმ ტრანსვაალელთ, რომელთაც იარაღის დაყრა ურჩიეს?

— „იმიტომ, რომ მოღალატენი იყვნენ: 1899 წელს ომის დაწყებაზედ თანხმობა განაცხადეს და როგორც-კი შემთხვევა მიეცათ იარაღი დაჰყარესო“.

— მაშ თუ აგრეა, სამართლიანად მოჰქცევიხართო, —მიუგო კიტჩენერმა.

საყვედური განუცხადა ბოტამ აგრეთვე იმისა გამო, რომ ინგლისელები ბურების წინააღმდეგ მებრძოლათ კაფრებს იწვევენ, რომელთა დახმარებაზედაც ზვაზილანდში ბურებმა უარი განაცხადეს. მოლაპარაკების შემდეგ კიტჩენერმა და ბოტამ ერთად ისაუზმეს და შემდეგ ისევე პატივით გააცილეს ბოტა, როგორც დაუხვდნენო, სწერს გაზეთი.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

საფრანგეთის სამკურნალო აკადემიაში მკურნალს ლოსეროს მოხსენება წაუკითხნია კატალეპსიის შესახებ და უამბნია ერთი მეტად საყურადღებო შემთხვევა. თოთხმეტის წლის ქალი მთელი რვა თვე კატალეპსიით შეპყრობილი ყოფილა. სხეულის ნაწილები ამ ქალს რკინასავით გაშეშებული და გამაგრებული ჰქონდა თურმე, ასე რომ არავის შეეძლო ხელისა ან ფეხის მოკაკვა. რაც უნდა ღრმად ეჩხვლიტად ნემსით ან სხვა რითიმე, სისხლი მაინც არა სდიოდა. ქალა არაფერს არა ჰგრძნობდა, იმას არავითარი ცვლილება არ ეტყობოდა არც სიცივსა და არც სიცხისაგან. ამ მდგომარეობაში ქალი წარსულის წლის 31 მარტს ჩავარდნილა და მთელი 8 კვირა ამ მდგომარეობაში ყოფილა. 1 მაისს მკურნალი ფურნიეს გამოცდილ ექიმ-ჰიპნოტიზიორთან ერთად გაუსინჯნია ავადმყოფი. მკურნალი ბევრსა სცდილა, მაგრამ ავადმყოფისთვის ხმა ვერ ამოუღებინებია. მაშინ ჰიპნოტიზიორს შთაგონებით განუზრახავს ქალის გამოფხიზლება. ორის წუთის შემდეგ უგრძნობლად მყოფი ქალი იმას აკეთებდა, რასაც ჰიპნოტიზიორი ეუბნებოდა: იცინოდა, ლაპარაკობდა, ტიროდა. მერე ექიმმა უბრძანა, ხელები აიშვირეო; ქალმა მანამდე გაშეშებული ხელები ნელ-ნელა მართლაც აიშვირა ზევით. სოფელში, სადაც ეს ქალი სცხოვრობდა, ყველა იმას ამბობდა, რომ ავადმყოფი „თვალ-ნაკრავიაო“, და ამ საქმეს ერთ მეზობელ ქალს აბრალებდნენ, გვარად მარტენს. მთელი სოფელი ისე გადაეკიდა ამის გამო მარტენს, რომ ეს უკანასკნელი იძულებული გახდა სოფლიდგან წასულიყო. მკურნალებს უკითხნიათ უგრძნობლად მყოფ ქალისათვის, სად არის ამ ჟამად ქ-ნი მარტენიო, და იმასაც მიუგია, რომ ბაღში სარეცხსა ჰფენავსო. მაშინვე კაცი გაუგზავნიათ და გაუგიათ, რომ ქალს მართალი უთქვამს. 22 მაისს ჰიპნოტიზიორს უბრძანებია ქალისათვის ამდგარიყო. „არა, არაო“, უთქვამს ქალს და შემდეგ დაუმატებია: „24 მაისს ავდგები, ნაშუადღევის სამ საათზედაო“. დანიშნულ დღეს

ვის ის განყოფილება, სადაც „ახლად გამოგონილი“ მანქანები იდგა. მაგრამ მეორე განყოფილებაში გასვლის დროს ფრანგმა სრულიად შემთხვევით გაღებულ კარებიდგან თვალი მოჰკრა ახალ მანქანებს და იქვე გამოუცხადა ქარხნის მთავარ ტეხნიკოს, ნემეცს: „რას მიმალავთ“? ნათლადა ვხედავ, რაშიაცაა საქმე. 15 წლის წინად სწორედ ამ მანქანებითა და ამ ნაირად ვმუშაობდი საფრანგეთში“. —მართალი ხართ, მიუგო ნემეცმა ტეხნიკოსმა, კანტინენტზედ ამ მანქანებს აღარც-კი ხმარობენ, აქ კი იმდენად უვიცნი არიან ტეხნიკაში, რომ თვით ქარხნის პატრონნი და აქაურნი სპეციალისტნი ახალ რამედ და დიდ საიდუმლოებად სთვლიან ამ მანქანებს **).

აი ასეთ ჩამორჩენის დროს სამინისტროს სასკოლო პროექტი ერთის სიტყვითაც-კი არ იხსენიებს საშუალო და უმაღლეს სატეხნიკო განათლებას!.. მაგრამ დაუბრუნდეთ დასახელებულ წერილს.

უმაღლესმა და საშუალო კლასებმა, რომელნიც შუამავალთა (ბანკებისა, ზღვაოსნობისა და სხვ.) და არა მწარმოებელთა შემოსავლით სცხოვრობენ, ამ ბოლოს დროს თითქოს ზომიერება დაჰკარგეს ფულის ხარჯვისა და მოხმარების საქმეში. სახელმწიფო და ადგილობრივი ხარჯები, ამბობს ავტორი, საოცრად იზრდებაო. 1884-დგან 1898 წლამდე ადგილობრივი ხარჯი 380 მილიონ მანეთით გაიზარდა. ხოლო თუ რა დიდ ჯამაგირების დანიშვნას შეუდგნენ სახელმწიფო ბიუჯეტიდგან,—მკითხველმა უკვე უწყის წინანდელ წერილიდგან.

მიწად-მოქმედებისა და წარმოების ერთ წერტილზედ შეჩერება; ფლანგვა-ხარჯვა ფულისა კერძო, ადგილობრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში... „ჩვენ, ამბობს ერთი გაზეთი, თანხების შემოსავლით ვცხოვრობთ. ეს შემოსავალი-კი 10 წელიწადსაც არ გვეყოფა“... ყველაზედ უფრო სამწუხარო ის არის, ამბობს ავტორი, რომ დღევანდელ მთავრობისა და მმართველ კლასის დაბრმავების მეოხებით, ახლო მერმისში უკეთეს ცვლილებას ვერა ვხედავთ. ამ ავტორის საჩივარი და სამდურავი ხუთ მუხლად შეგვიძლიან გავყოთ:

1. ვერავითარს საბუთს ვერა ვხედავთ იმისას, რომ ჩვენი სასოფლო მეურნეობა შეიძლება განკარგდეს.

2. აშკარა შეიქმნა, რომ თუ ჩვენს სატეხნიკო განათლებაში რეფორმა არ შევიტანეთ, გერმანია და შეერთებული შტატები შთანთქამენ ჩვენ ინდუსტრიას.

3. მცირედაც-კი არ ეტყობა ზრდა ჩვენს საგარეო ვაჭრობას.

4. აშკარა ხდება ყველასათვის, რომ ჩვენს სანაოსნო საქმეს დაცემა მოელის.

5. უცხო ქვეყნებში გაფანტული ჩვენი თანხები თანდათან კლებულობენ და ჰქრებიან, როგორც ეს მრავალის საბუთებიდგანა სჩანს.

ვერაფერი სანუგეშო წინასწარმეტყველებაა, თუ შენც დამეთანხმები, მკითხველო... პატიოსან მოქალაქეს ბევრი საფიქრი და საზრუნი აქვს.

ხალხის განათლება, ხელმომჭირნეობა, მრეწველობის განვითარება, სპეციალური რეფორმები—აი რით ეშველება საქმეს და რას თხოულობენ საუკეთესო მამულიშვილნი. ამ სამართლიან მოთხოვნილებას მთავრობა ომით, ფლანგვა-ხარჯვით, რეფორმების უარ-ყოფით, ხალხის მიერ არჩეულ სასკოლო საბჭოების გაუქმებით უგებს პასუხს . და ყველა ამის შემდეგ მთავრობას პარლამენტში მაინც დიდი უმრავლესობა ჰყავს!..

ვ. მარველი

**) ინჟინერ პოლ რეკლიუს სიტყვები.

დილით, ქალს მართლაც ცვლილება დასტყობია, სუნთქვა მოჰმატებია, სხეული დარბილებია და სწორედ სამ საათზე სრულიად გამოღვიძებულა. 11 ივნისამდე ქალი სრულიად ჯან-საღი ყოფილა, 11 ივნისსკი, დაბრუნებულა თუ არა ქ-ნი მარტენი სოფელში, ქალი ხელ-ახლა უწინდებურად გამხდარა ავად, მაშინ ექიმ ფურიეს შთაუგონებია უგრძნობელ და მძინარე ქალისათვის, ნუ დაემორჩილები ქ-ნ მარტენის ძალასაო, მერე გაუღვიძებია, და მას შემდეგ ქალი სრულიად ჯან-საღი და მთელია თურმე. აშკარაა აქედგან, რომ სოფლელები რამდენადმე მართალნი არიან, როდესაც ამბობენ, რომ ამა და ამ კაცმა „თვალი ჰკრაო“.

* * *

როგორც ახლად დაარსებულის გაზეთის „არგონავტის“ პარიჟელი კორრესპონდენტი სწერს, პარიჟში 2777 გაზეთი გამოდის თურმე. აქედგან 154 საპოლიტიკო გაზეთია, 168—სალიტერატურო, საფინანსო საქმეებს 21 გაზეთი ემსახურება, სასოფლო მეურნეობას—65, სჯულის საქმეს—97 და სხვა. პარიჟელებს უფრო პარიჟისავე საქმეები აინტერესებთ, ამიტომ იქაურს გაზეთებში ნაკლებად იბეჭდება თურმე უცხო-ქვეყნების ამბები. სამაგიეროდ გაზეთების მკითხველი დაწვრილებით ტყობილობს პარიჟში მომხდარ უმნიშვნელო ამბებსაც-კი.

# დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

28 მაისი.

**მოსკოვი.** საპედაგოგო საზოგადოების ბოლონდელს სხდომაზედ გუშინ ღამის 2 საათამდე მართლწერის ცვლილების შესახებ ჰქონდათ მსჯელობა; აღძრული საგნები 37 ხმის უმეტესობით გარდასწყდა წინააღმდეგ 20-ისა. პროფესსორი ბრანდი და მისნი მომხრენი იმ აზრისანნი იყვნენ, რომ მოსწავლეებმა ისრე სწერონ, როგორც ლაპარაკობენ. დასასრულ, ანბანიდგან გამორიცხულ იქმნა ხუთი ცნობილი საკმაოთ ასო და შეიცვალა მართლწერა ზოგიერთა დაბოლოვებისა ისე, როგორც ლაპარაკის დროს გამოითქმის.

**პენზა.** კარგმა ამინდმა ძველ-თესლებსა, ახალ-თესლებსა და ბალახს ხელი შეუწყო.

**ლონდონი.** „Daily Mail“-ის სიტყვით, ბრიუსელში ხმა თურმე დადის, რომ ქ-ნი ბოტა 30 მაისს კრიუგერს ინახულებს. იმავე გაზეთს აუწყებენ, რომ ევროპაში მომავლობის დროს ქ-ნი ბოტა კიტჩენერს თურმე ძლიერ კარგად იხსენიებდა, როგორც მართლის მოყვარე, კეთილშობილსა და კეთილს კაცს, რომელიც თავისს დაპირებას არას დროს არ უმტყუვნებდა.

**დუბლინი.** ქ-ნ ბოტასთან ერთად ლონდონში მოსულმა ორანჟელმა ბურმა ფიშერმა უთხრა თურმე გზაზედ ერთს კორრესპონდენტს, რომ ქ-ნი ბოტა ევროპაში თავისს ჯანმრთელობის გამოსაკეთებლადა მოგზაურობს, მაგრამ, სადაც-კი ეს შესაძლებელი იქმნება, განზრახვა აქვს კიტჩენერის თანხმობით ყოველივე ღონისძიება იხმაროს, რომ თავისის მამულის საქმე როგორმე გამოაკეთოს, დღევანდელი მდგომარეობა შეუმსუბუქოს. ქ-ნი ბოტა ამ საქმეში ყოველგვარს პასუხისმგებლობასა კისრულობს, მაგრამ თუ რომ კრიუგერი მისს საბუთებს არ დაეთანხმება, შესაძლებელია ბურების უმეტესი ნაწილი დამოუკიდებლად მოიქცეს და სამხედრო მოქმედება სრულიად შესწყვიტოს.

**ლონდონი.** ბროდრიკის დაკითხვისა თანახმად, კიტჩენერმა დეპეშით აცნობა, რომ ბეიერის რაზმის დამცირების შესახებ მიღებული ცნობა სიმართლეს მოკლებულია.

**შანხაი.** დღემდის აქ მდგომარე ინდოეთის ჯარებმა ბრძანება მიიღეს, რომ ჩრდილოეთისაკენ დაიწიონ, ამისა გამო შანხაიში მხოლოდ ორი ბატალიონი-ღა დარჩება ინგლისის ჯარებისა. ფრანგებს განზრახვა აქვთ შანხაიში ერთი ბატალიონი დასტოვონ.

**ბელგრადი.** რადგანაც კონსტანტინოპოლში მყოფმა სერბიის ელჩმა ენერგიული წინააღმდეგობა განაცხადა იმისა გამო, რომ ალბანელებმა საზღვარი მრავალ გზის გადალახეს, სულთანმა გენერალს ხამდი-ფაშას საზღვარზედ წასვლა მიუწერა. ხამდი-ფაშამ ნებართვა მიიღო საზღვარზედ მდგომი ოსმალეთის ჯარი დაუყოვნებლივ სხვა ჯარით შესცვალოს, თუ-კი ამას გამოძიების შემდეგ საჭიროდა სცნობს.

**ბერლინი.** როგორც „Berliner Korrespondenz“ იუწყება, გერმანიას ამ ჟამად აღმოსავლეთს აზიაში სამი სამბატალიონიანი რაზმი თურმე ჰყავს, რომელთაგანაც თვითოეულს ბატალიონში სამ-სამი როტა და როტაში ასი კაცია; გარდა ამისა, დატოვებული იქმნება ცხენოსან ეგერთა ერთი ესკადრონი, სამინდვრო არტილერიის სამი ბატარეა, ერთი როტა პიონერებისა და ერთი როტაც სალაშქრო ქარავანთან,—სულ 3,600 კაცი, რომელთაგანაც 800 კაცი, ე. ი. ორი ბატალიონი ერთის ბატარეითურთ შანხაისათვის არის დანიშნული; პეჩელიის პროვინციის ჯარების უმეტესი ნაწილი ტიანძინში დარჩება და თითო ბატალიონიც პეკინსა, იანცზუნსა, ლანფანსა და შანხაიგუანში იქმნება დატოვებული. ჩინეთში იქმნებიან დატოვებულნი მხოლოდ ის ჯარები, რომელთაც პირობა აქვთ დადებული 1901 წლის შემოდგომამდე აღმოსავლეთს აზიაში იმსახურონ.

**ლონდონი.** გუშინ გარდაიცვალა მწერალი ვალტერ ბეზანტი, ხოლო დღეს რობერტი ბეკანანი.

კიტჩენერი იუწყება დეპეშით, რომ ამ ბოლოს თვის განმავლობაში მოუკლავთ, ტყვეთ წაუყვანიათ და თავისის ნებით დაჰმორჩილებიათ 2,640 ბური; 1-დგან 9 ივნისამდე მოუკლავთ 26 ბური, დაუჭრიათ ოთხი, ტყვეთ წაუყვანიათ 409 და დაჰმორჩილებიათ 33. გარდა ამისა, დავლათ დაჰრჩომიათ 651 თოფი, 115,000 სროლა ტყვია-წამალი, 12 ურემი და 4,000 ცხენი.

**გააგა.** პრეზიდენტი კრიუგერი დოქტორის ლეიდსის თანახლებით გილვერსუმიდგან დახურულის ეტლით მოვიდა და ბურების დელეგატის ვალმარანსის ბინაზედ წავიდა. კრიუგერს განზრახვა აქვს რამდენიმე დღე შვენინგენში დაჰყოს.

**მადრიდი.** გარეშე საქმეთა სამინისტროში მაროკკოს status quo შესახებ არა ისმის-რა.

**პარიჟი.** როგორც იუწყებიან, შეუპყრიათ ორი ანარქისტი, რომელთაც თავისს ბინაზედ ასაფეთქებელი ნივთიერებანი უმზადებიათ.

**რომი.** თანახმად იმპერატორის ვილჰელმის მიწვევისა, აოსტის ჰერცოგი დანციგის მახლობლად დანიშნულს დიდს ალლუმებში მიიღებს მონაწილეობას, ხოლო გრაფი ტურინისა—შუაგულ გერმანიაში დანიშნულს ცხენოსანთა ალლუმებში.

**ოკლანდი.** კორნუელისა და ჰიორკის ჰერცოგი და ჰერცოგინა მოვიდნენ აქა.

39 მაისი

**პეტერბურგი.** კავკასიის სამოსწავლო ოლქის ინსპექტორს ზავადსკის უმაღლესად ებრძანა ამავე სამოსწავლო ოლქის მზრუნველათ იქმნეს.

სახელმწიფო საბჭოს სამრეწველო, სამეცნიერო, და სავაჭრო დეპარტამენტის სტატს-სეკრეტარს ფილოსოფოვს ებრძანა სახელმწიფო კანტროლერის ამხანაგათ იქმნეს.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ამ წინაზედ ტიანძინში მომხდარ შეტაკების შესახებ ლორდმა გამილტონმა განაცხადა, რომ, როგორც გეზლის მიერ დეპეშით გამოგზავნილ მოხსენებიდგანა სჩანს, ინგლისის საპოლიციო ჯარის კაცნი ძალიან თავდაჭერილათ მოქცეულან და მხოლოდ მაშინ-ღა მიუმართნიათ თოფებისათვის, როდესაც იძულებულნი გამხდარან თავისი თავი დაეცვათ. გერმანელთა პოლიცია ინგლისისას დაჰხმარებია და შეტაკების ადგილას მეოფი გერმანელი ჯარის-კაცნი განუდევნია. იაპონელებმაც დიდი დახმარება თურმე აღმოუჩინეს ინგლისელების პოლიციას. რაც შეეხებოდა შემდეგს კითხვას, იყო თუ არა კიდევ მეორე ასეთი შემთხვევაო, გამილტონმა უპასუხა, რომ გეზლის ამის შესახებ დეპეშით დავეკითხეო.

**პეტერბურგი.** საშუალო სკოლაში ცვლილების შესატანად ამორჩეულმა კომისიამ თავისი სხდომები 28 მაისს დაიწყო საერო განათლების სამინისტროს შენობაში. როგორც „ნოვ. ვრემიას“-ს შეუტყვია სარწმუნო წყაროდგან, კომისიის შემდეგი პროგრამა შეუმუშავებია: 1) საზოგადო განათლების საშუალო სკოლის ორგანიზაციის ძირეულ დებულებათა შემუშავება; 2) შემუშავება გაკვეთილებისა ახალის ცხრილისა ამ ტიპის სკოლისათვის; 3) შემუშავება იმ წესთა, რომლითაც აღნიშნულ ძირეულ დებულებათა მიხედვით საშუალო სკოლისათვის შედგენილი წესდება უნდა იქმნეს შემოღებული; 4) შემუშავება იმ წესთა, რომლითაც შესაძლებელი იქმნება საშუალო სკოლის ახალის წესდების მალე და მოხერხებულად შემოსაღებლად კლასიკურს გიმნაზიებსა და რეალურს სასწავლებლებში აწ არსებული ცხრილი ამ 1901—1902 სამოსწავლო წლის დასაწყისიდგანვე შეცვლილ იქმნეს; 5) გამორკვევა იმ კითხვისა, თუ რა გზით შეიძლება შეცვლილი საშუალო სკოლა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სასჯულო მეცნიერებისათვისა და მამულის აღწერაშესასწავლად საჭირო მასწავლებლებით უზრუნველყოფილი იქმნეს; 6) როგორ უნდა იყვნენ მომზადებულნი მასწავლებელნი ამ საშუალო სკოლისა საზოგადოდ და კერძოდ მასწავლებელნი ახალის ენებისა და 7) ქალთა საშუალო სასწავლებლებისათვის ძირეულ დებულებათა შემუშავება. კომისიის წევრებად ითვლებიან: საერო განათლების მინისტრი ვანოვსკი, მინისტრის ამხანაგი მეშჩანინოვი, ყაზანის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ალექსენკო, ხარკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ფონ-ანხები, საერო განათლების მინისტრის საბჭოს წევრი ესსელი, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ვინოგრადოვი, სატეხნოლოგო ინსტიტუტის დირექტორი გოლოვინი, მე-3 გიმნაზიისა და ალექსანდრეს კორპუსის მასწავლებელი გოტლიბი, კერძო გიმნაზიის დირექტორი გურევიჩი, მოსკოველი დოქტორი და პედაგოგი იგნატიევი, სატყეო ინსტიტუტის პროფესორი კაიგოროდოვი, საერო განათლების სამინისტროში შერიცხული კარპოვი, მოსკოვის უნივერსიტეტის ისტორიო-საფილოლოგო ფაკულტეტის დეკანი და პროფესორი კირპიჩნიკოვი, ფინანსთა მინისტრის ამხანაგი კოვალევსკი, სამხედრო სასწავლებელთა მუზეუმის თავმჯდომარე გენერალ-ლეიტენანტი მაკაროვი, ოლქის ინსპექტორი მურომცევი, საერო განათლების მინისტრის საბჭოს წევრი გრაფი მუსინ პუშკინი, მოსკოვის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი ნეკრასოვი, სამეცნიერო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ნიკიტინი, აკადემიკოსი პიპინი, საერო განათლების სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი რახმანოვი, ლარინის გიმნაზიის დირექტორი სმირნოვი, პეტერბურგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი სონინი, მე-2 რეალურ სასწავლებლის დირექტორი ფოხტი და რიგის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი შვარცი. სხდომის დაწყებისას საერო განათლების მინისტრმა წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განაცხადა, რომ, უმაღლესის ნებისა აღსასრულებლად, რომელიც 25 მარტის რესკრიპტით იქმნა გამოთქმული, საშუალო სკოლის შესაცვლელად და განსაკარგებლად მოიწვია აღნიშნული კომისია.

### წერილი რედაქციის მიმართ

9 მაისს, მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი ფლაბიანე ქალაქის უმაღლეს სამღვდელოებითურთ მწირველი ბრძანდებოდა კუკიის ნიკოლოზის ეკკლესიაში და წირვის შემდეგ აკურთხა და საძირკველი ჩაუყარა ეკკლესიის ჩრდილო და სამხრეთ ნაწილს, რომლითაც გაფართოვებული იქმნება ეკკლესია—სიგრძით 19 და სიგანით $4^1/_2$ ალაბი. საჭირო საშუალებათა უქონლობისა გამო მიღებულ იქმნა შემოწირულებანი. ჯერ-ჯერობით შემოსწირეს ეკკლესიის დეკანოზმა სოლომონ შაშიაშვილმა 25 მან., ეკკლესიის მნათეებმა—100 მან., ილია ხარაშვილმა—500 მან., დ. ზ. სარაჯიშვილმა—50 მან., სოლომონ გაბაშვილმა—50 მან., გევურქ აბოევმა—50 მან., ივანე ჭელიძემ—25 მან., ვ. ბერელაშვილმა—25 მან., ად. ბერელაშვილმა—20 მან., ივანე ხახუტაშვილმა—10 მანეთი, გაბრიელ კოლუბანსკიმ—10 მანეთი, ევ. ელიოზიშვილმა—10 მან., ზ. ზ. გედევანიშვილმა—1 მან., მეაფთიაქე დ. სულაძემ—25 მან. 90 კაპ., გიორგი ივანოვმა—10 მან., გიორგი ხუციშვილმა—5 მან., ანდრია ადამიძემ—5 მან., სვიმონ ცოტაძემ—5 მან., ეგორ მაისურაძემ—2 მან., ალ. ხოჯაშვილმა—1 მ., კირაკოზოვმა, ოგანოვმა და ამხ.—3 მან., გ. ლაზარევმა 3 მან., დიმ. ჯმუხაძემ 3 მან., გ. ჯმუხაძემ 3 მან., ალ. პავლიაშვილმა—1 მან., ა. გოზალოვმა—3 მან., ჭელიძემ და კულიჯანოვმა—3 მან., ნ. შენგელიამ—2 მან., წატუროვმა, ე. კასუმოვმა, გ. ტოროშელიძემ და კ. დავიდოვმა—თითო-თითო მანეთი, ალ. გუნდიევმა—3 მან., იაკობ ბარხუდაროვმა—1 მან., თომა გოგონოვმა—1 მან. ნ. ქარახანოვმა—2 მან., მ. დედუკოვმა—1 მან., ავ. აკოფოვმა—1 მან., როსტომ ჯაფარიძემ—3 მან., გ. წამალაშვილმა—1 მან., პ. მაკაროვმა—5 მან., გ. ჭიჭინაძემ და სოლომონ ბადუროვმა—თითო-თითო მანეთი, ელ. კოჩინოვმა—3 მან., ვ. მიხაილოვმა—2 მან., ა. როგაისკიმ 2 მანეთი და ი. გოგინოვმა 1 მან. 50 კაპ.

ეკკლესიის კრებული და მნათე გულითადს მადლობას სწირავენ ზემოხსენებულ პირთ და იმედი აქვთ, რომ კეთილი ხალხი არ დაიშურებს თავისს წვლილს ამ კეთილ საქმის დასასრულებლად.

კუკიის ნიკოლოზის ეკკლესიის მოძღვარი დეკანოზი სოლომონ შაშიაშვილი


## განცხადებანი

ერიდეთ! არ მოსტყუვდეთ!

**ჰიგიენური**

ბორნო-ტიმოლის საპონი

პროვიზორის

**გ. ფ. იურგენსისა**

აქრობს ჭორფლს, ნასიცხს, ყვითელ ლაქებს და სპობს ოფლს. ვურჩევთ, როგორც კეთილ-სუნნელოვანი და მაღალის ხარისხისა, ეს საპონი იხმარონ.

ოქროს მედალი ლონდონი 1893 წ.

ფასი თითო ნაჭერის 50 კაპ., $^1/_2$ ნაჭერი 30 კაპ. იყიდება რუსეთის ყველა საუკეთესო სააფთიაქო მაღაზიებსა და აფთიაქებში.

უმთავრესი საწყობი გ. ფ. იურგენსთან მოსკოვში. (48—6.—44)

**იძლევა**

ქირით ხუთი ოთახი.

ნიკოლოზის ქუჩა, № 21, სახლი ე. გ. საგინაშვილისა.

**მკურნალი**

**მიხეილ გედევანიშვილი**

გადავიდა საკუთარ სახლში, ყორღანოვის ქუჩა, № 16.

ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 6—7 ს.

(10—6.—7)

ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობა ამით იწვევს „საზოგადოების“ წევრთ არა-ჩვეულებრივ კრებაზედ, რომელიც მოხდება 1 ივნისს, საღამოს 8 ს., ქართულის თეატრის ფოიეში.

განსახილველი საგნები:

1) გასულის წლის შესავალ-გასავლის ანგარიში და მოხსენება გამგეობის მოქმედების შესახებ;

2) მიმდინარე საქმეები;

3) არჩევანი „საზოგადოების“ ახალ წევრთა;

4) არჩევანი გამგეობის 7 წევრისა და სამის კანდიდატისა.

«წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების»

**მეორე სამკითხველო**

გადავიდა ვერის ხიდის ჩასავალზე, ყორღანოვის ქუჩაზე, მებურნუთოვის სახლში, № 1. სამკითხველო ღიაა ყოველ დღე, დილის 9—2 საათამდის და საღამოს 6—8 საათამდის. (2—უ—2)




სტამბა ექ. ივ. ხელაძისა, დოქის-მელიქოვის ქ., № 28. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე